პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

(943) 245 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## სამხედრო! მეტი ყურადღება გაწვევის გაშუქებას.

დიდის გამალებით ემზადებიან ჩვენი ნაწილები ახალწვეულების შესახვედრათ. ამას გვეუბნება ის თითო-ოროლა კორესპონდენციები, რომლებიც ხან გამოშვებით მოსდის რედაქციას. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მზადების სრული სურათი, მისი მხარეების უმრავლესობა გაუშუქებელი რჩება ჩვენს გაზეთში. ამავე დროს კი ახალწვეულების მისაღებად წარმოებულ მოსამზადებელი მუშაობის გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წითელი ჯარისათვის. ეს უდავო და ნათელი ჭეშმარიტება უნდა იყოს ყველასათვის. მაგრამ როგორც სჩანს ეს გარემოება კარგად ვერ შეუთვისებიათ ჩვენ სამხკორებს.

მოსამზადებელი მუშაობის ფართედ და შინაარსიანად გაშუქება სავსებით დამოკიდებულია მათგან.

ისინი კი ამ დიდ მნიშვნელოვან მომენტს ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ეს ნაკლი დაუყონებლივ უნდა გამოსწორდეს.

ახალწვეულების მისვლამდე წითელ ყაზარმაში ცოტა დრო დარჩა.

მათი მოსვლის შემდეგ სამხკორებს და სამხკორთა ორგანიზაციებს ბევრი სამუშაო ექნებათ. ამიტომაც მეტი ყურადღება სამხკორთა მხრივ მოსამზადებელ მუშაობის გაშუქებას ჩვენს გაზეთში. განსაკუთრებით სამხკორებმა თავის კორესპონდენციებში უნდა მოგვითხრონ იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ძველი წითელ არმიელები ახლების შესახვედრათ. საჭიროა აგრეთვე პარტორგანიზაციის და კომკავშირის მონაწილეობის აღნიშვნა ამ მოსამზადებელ მუშაობაში.

კიდევ და კიდევ მოვაგონებთ ჩვენ სამხკორებს, რათა ისინი არ რჩებოდენ უკან ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებას რამოდენიმე დღის შემდეგ მოვლენ ახალ წვეულები.

ახალ წვეულების ყაზარმაში მოსვლის და ყოფნის პირველ დღეებს დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხკორები ვალდებულნი არიან რაც შეიძლება ვრცლად გააშუქონ ახალი წვეულის მოსვლა ყაზარმაში, მისი პირველი შთაბეჭდილებები, ძველი წითელ არმიელების, მეთაურების, პოლიტმომუშავეების და ახალწვეულების შეხვედრა და სხვა.

ერთი სიტყვით გაწვევის ყველა საფეხურები ყოველმხრივ გაშუქებულ უნდა იქმნას.

სამხკორო, დროა შეუდგე ამ ამოცანის ხისრულებში მოყვანას!

## საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხარჯები 1925-26 წელში.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად 1925—26 წლის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გეგმა.

ეს ხარჯთაღრიცხვა უდიდესი მიღწევაა მუშურ-გლეხური ხელისუფლების.

ის კიდევ ერთხელ წადასტურებს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა საგრძნობლად გაიზარდა, და განმტკიცდა და აჩქარებული ნაბიჯით მიიმართება წინ აღორძინების გზაზე. წარსულ წელთან შედარებით 1925—26 წლის ხარჯთაღრიცხვა გადიდებულია 900 მილიონით.

როგორც დღევანდელი რადიო-დეპეშა გვატყობინებს ამ ხარჯთაღრიცხვიდან 550 მილიონამდე მოხმარდება სასოფლო-მეურნეობის განვითარების საქმეს. უკვე ეს ფაქტი გვეუბნება ჩვენ, თუ რამდენათ დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება სოფლის აყვავებას და აღორძინებას.

იგივე რადიო გადმოგვცემს, რომ სახალხო განათლებისათვის გადადებულია თანხა, რომელიც ბევრად აღემატება იმ თანხას, რომელსაც მეფის მთავრობა ხარჯავდა ამ დარგში.

გადიდებულია აგრეთვე სამხედრო ხარჯები, მაგრამ მეფის სამხედრო ხარჯებთან შედარებით ისინი უმნიშვნელო არიან. ამრიგად მთელი ჩვენი მომავალი წლის სახელმწიფო ხარჯები მიმართულია სახალხო მეურნეობის შემდეგი გაძლიერებისაკენ, მუშურ-გლეხური რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისაკენ.

სახალხო მეურნეობის გაფურჩქვნა, მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალისტური აღმშენებლობის გაფართოვება და მშრომელთა კეთილდღეობის განმტკიცება—აი რას ემსახურება ჩვენი სახელმწიფო ხარჯები.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა ხმარდება კაპიტალისტების მტაცებლურ მიზნებს, მშრომელი ხალხის დამონავების საქმეს, მყვლეფელთა კლასის ბატონობის განმტკიცებას.

იმ დროს, როცა ბურჟუაზიული ქვეყნების ფულის კურსი ეცემა, მათი სახელმწიფო ხარჯების სიმტკიცე ირყევა, საბჭოთა ფული უფრო და უფრო მტკიცდება და მასთან ერთად ურყევ, ჯანსაღ საფუძველზე იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიც (ხარჯთაღრიცხვა).

ამის საუკეთესო მაგალითია 1925-26 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ის საუკეთესო თავდებია აგრეთვე საბჭოთა კავშირის შემდეგი ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცებისა და გაძლიერების.

—გ.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის ბურჟუაზიის კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ.

### რას ამბობენ ბურჟუაზიის მოღვაწეები კომუნისტების დევნის შესახებ.

ინგლისის ლიბერალური მთავრობის ყოფილ წევრმა ვეჯვუდმა განაცხადა, რომ მოსაწონია ინგლისის მთავრობის ზომები კომუნისტების წინააღმდეგ.

— ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა: „მსოფლიო ისტორია შევიდა ახალ ხანაში მას შემდეგ, რაც რომ მოსკოვში დაარსდა შეთქმულების კავშირი, რომლის დაუღალავი პროპაგანდა საქმეს ურთულებს განათლებულ სახელმწიფოების მთავრობებს. ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ ამ პროპაგანდის წინააღმდეგ და მასთან განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ მოვითმენთ ჩარევას ჩვენ შინაურ საქმეებში".

— ლოიდ-ჯორჯმა მანჩესტერში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „მე კომუნისტების არ მეშინია. არ მეშინია არც მათი მუქარის. საშიში პროპაგანდა რევოლიუციონურ იდეების სასარგებლოდ—ეს არის უმოქმედობის პოლიტიკა. იმის მაგივრად, რომ ვდევნოდ სხვები უპჯობესია პასუხისგებაში მივცეთ ის ხალხი, რომლებიც გულ-ხელდაკრეფილი სხედან".

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### კანტონის მთავრობის თავმჯდომარე კანტონის ფრონტების შესახებ.

ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა კანტონის მთავრობის თავმჯდომარემ ვან-ჩინ-ვეიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალაქ ვაიჩეოუს აღება ძვირად დაუჯდა კანტონის ჯარებს. ეხლა აღმოსავლეთ მდინარეზე სამხედრო მოქმედების ლიკვიდაციის შემდეგ, შეიძლება მეორე სამხედრო რაზმის გაგზავნა სამხრეთისაკენ.

### გაიხსნა ჩინეთის საბაჟო კონფერენცია.

ჩინეთში გაიხსნა კონფერენცია საბაჟო საკითხების შესახებ. კონფერენციას დაესწრო იაპონიის, ამერიკის, ინგლისისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები. კონფერენციის მიზანია საბაჟო სატარიფო და სხვა საკითხების მოგვარება.

## პეკინი მოითხოვს დახმარებას

ჩინეთის სამხედრო მინისტრს საუბარი ჰქონდა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრთან შიდეხარასთან, რომელსაც სთხოვა დახმარების აღმოჩენა პეკინის მთავრობისათვის. შიდეხარამ უარი უთხრა დახმარებაზე იმ მოსაზრებით, რომ ეს ეწინააღმდეგება ვაშინგტონის შეთანხმებას ჩინეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

## კაიო ჯიუტობს.



საფრანგეთის მინისტრთა თავმჯდომარემ პენლევემ წინადადება მისცა ფინანსთა მინისტრ კაიოს გადადგომის შესახებ. კაიომ უარი განაცხადა გადადგომაზე. მინისტრთა საბჭოს სხდომამ დაადგინა გადადებულ იქნას გადაწყვეტილების გამოტანა ამ საკითხზე.

კაიო.—საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი, რომელიც ომით და მშრომელებზე ბეგარის გადიდებით ფიქრობდა საფრანგეთის დანგრეულ ფინანსების გაუმჯობესობას.

## თავდასხმა საბჭოთა საელჩოზე ლატვიაში.

ლატვიაში მყოფ საბჭოთა კავშირის საელჩოს თავს დაესხა 15 ლატვიელი სტუდენტი. საელჩოს დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ 6 თავდამსხმელი გაგზავნილ იქნა საპოლიციო უბანში ოქმის შესადგენად.

პრიბალტიკისა და პოლონეთის შრომის განყოფილების გამგემ ვორკუროვიჩმა ამის შესახებ სასტიკი პროტესტი გადასცა ლატვიის მინისტრ ოზოლსს საკავშირო მთავრობისაგან.

ოზოლსმა ლატვიის მთავრობის სახელით მწუხარება გამოსთქვა ამ შემთხვევის გამო.

## მაროკოს ომს ბოლო არ უჩანს.

ხმები აბდ-ელ-ქერიმის გამგზავრების შესახებ ტანჟერში (მაროკოში) საზავო მოლაპარაკებისთვის ყალბი გამოდგა.

## ერთა ლიგას მიანდვეს.

გაიხსნა ერთა ლიგის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გარჩეულ უნდა იქნას საბერძნეთ—ბულგარეთს შორის მომხდარი განხეთქილება.

## მოითხოვენ რაკოშის განთავისუფლებას.

ამერიკაში, უნგრეთის მისიის შენობის წინ გაიმართა მუშათა დემონსტრაცია; დემონსტრანტები მოითხოვდენ უნგრელ კომუნისტ რაკოშისა და მის ამხანაგების გათავისუფლებას. მუშებმა გააკრეს მისიის შენობაზე სათანადო პლაკატები.

## მოსულის გარშემო.

ჰააგის საერთაშორისო სასამართლო შეუდგა მოსულის საკითხის განხილვას. ოსმალეთი სხდომაზე არ მონაწილეობს.

## ბერლინის არჩევნების შედეგები.

ვოლფის სააგენტოს ცნობით ბერლინის ქალაქის არჩევნები ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 589,703 ხმა, გერმანიის ნაციონალისტებმა—370.804, სახალხო პარტიამ—104.809, კომუნისტებმა—332,109.

## საბჭოთა ატლეტები რიგაში.

რიგაში ჩავიდენ საბჭოთა ატლეტები (მოჭიდავეები) (მოვარჯიშენი) ივანოვი, ბუხაროვი და სპარე, საერთაშორისო შეჯიბრში მონწილეობისთვის.

---

# საბჭოთა კავშირში

## სრულიად უკრაინის კომკავშირის თათბირი.

### კომკავშირის მუშაობა სოფლად.

26 ოქტომბერს დაიხურა კომკავშირთა სრულიად უკრაინის თათბირი სოფლად მუშაობის საკითხის შესახებ.

თათბირმა აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირთა მასების მიზიდვას სოფლის საბჭოების მუშაობაში, უნდა აწარმოოს გაძლიერებული მუშაობა სოფლად რევოლიუციონური კანონიერების გატარებაში და სხვა.

### მეთუთუნეობა საქართველოში

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ორი ახალი მეთუთუნეთა ამხანაგობის მოწყობას ქედის მაზრაში. აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო მეთუთუნეობის გასავითარებლად 80.000 მანეთი.

### საბჭოთა კავშირის ხარჯთაღრიცხვის გეგმა.

მთელს კავშირში 1925—26 წ. გათვალისწინებულ შემოსავალ გასავლის საერთო ჯამი უდრის 4 მილიარდამდე მანეთს. წასულ წელთან შედარებით მომატებულია 900 მილიონი მანეთი. ეს მომატება მოწმობს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზრდას ჩვენს ქვეყანაში.

მიმდინარე წელში დახარჯულ იქნება სასოფლო-მეურნეობაზე 550 მილიონი მანეთი. კომუნალურ ბანკს მიეცემა 70 მილიონი მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის. ხარჯი სახალხო განათლებაზე აღემატება ომამდე არსებულ ხარჯებს.

თავდაცვის საქმეს მოხმარდება 600 მილიონი მანეთი, მაგრამ ეს ორ ნახევარჯერ ნაკლებია მეფის არმიის ხარჯებზე.

### 70 მილიონი მანეთი ელექტროფიკაციისთვის.

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა განცხადებები ელექტროფიკაციისა და ელექტრო-აღმშენებლობის შესახებ 1925—26 წელში, რაიც მოითხოვს 70 მილიონ მანეთს.

---

## ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ბათომში.

### „ჩვენ ვიბრძოლებთ მთელი ქვეყნის მთლიან საბჭოთა რესპუბლიკად გარდასაქმნელად".

26 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია. სადგურზე დელეგაციას შეეგება მთავრობის, პარტკომის, პროფსაბჭოს წარმომადგენლები, მუშა ქალები, კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციები დროშებით, ლოზუნგებითა და ორკესტრით. მოკლე მისალმების შემდეგ სადგურის მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა აჭარისტანის პროფსაბჭოს მდივანმა ხვედელიძემ, რომელმაც აჭარისტანის მშრომელთა სახელით მიესალმა დელეგაციას.

შემდეგ დელეგაციას მიესალმა მუშა ავთანდილოვი და მუშა ქალი პეტროვა.

საპასუხო მისალმებაში დელეგაციის თავმჯდომარემ ტატირეკმა განაცხადა:

„ჩვენ გამოგვაგზავნა ჩეხო-სლოვაკიის მუშებმა, რათა დავრწმუნდეთ ბურჟუაზიულ გაზეთებში გავრცელებულ სიცრუეში.

ჩვენ განცვიფრებული ვართ თქვენი მრეწველობის ნაბიჯით.

ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა მიდის წინ ეკონომიური აღორძინების გზაზე. ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ ხელისუფლება აქ დაყრდნობილია ხიშტებზე და რომ მუშები გმინავენ ძალდატანების ქვეშ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს სიცრუეა. ჩვენ ვხედავთ ჭეშმარიტად პროლეტარულ თავისუფლებას. როცა დავბრუნდებით, ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ მუშათა კლასის ერთიანობის შესაქმნელად და მთელი ქვეყნის გარდასაქმნელად ერთიან საბჭოთა რესპუბლიკათ.

ტატირეკის სიტყვა ხმამაღალ ვაშამ და ინტერნაციონალმა დაჰფარა.

რესტორან „საფრანგეთ"-ში გაიმართა ამხანაგური სადილი.

დელეგაცია დარჩება ბათუმში 2 დღე.

## „მუშათა კომისიის" თათბირი.

9—12 ოქტომბერს ქ. ტფილისში შესდგა ყოფილ მენშევიკ „მუშათა კომისიის" რწმუნებულთა თათბირი. „მუშათა კომისია" დაარსდა შარშან, სწორედ ერთი წლის წინეთ. შარშანდელმა აგვისტოს მენშევიკურმა გამოსვლებმა სავსებით დაანახვა მენშევიკების გავლენის ქვეშ დარჩენილ მუშებს მენშევიკების ავანტიურისტული და გამცემლური ბუნება. ამ გამოსვლამ დააჩქარა მათი გამოფხიზლება. ყოფილმა მენშევიკ მუშებმა დაარსეს „მუშათა კომისია" რომელიც მიზნად ისახავდა ყოფილ მენშევიკ მუშათა ორგანიზაციულად შეკავშირებას და მათ დაახლოვებას საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან.

მათი მუშაობა დიდათ ნაყოფიერი იყო.

„მუშათა კომისიის" რწმუნებულები პროვინციებში მუშაობდენ. ეხლა თათბირმა ჯამი გაუკეთა თავის ერთი წლის მუშაობას. თათბირმა საჭიროდ აღიარა „მუშათა კომისიის" გაუქმება, რადგან მან თავისი მოვალეობა უკვე შეასრულა. „მუშათა კომისიის" რწმუნებულთა თათბირმა დასასრულ მიმართა ყველა მუშებს მოწოდებით, საბოლოოდ დაგმონ ყოველგვარი ცდები, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და გულწრფელად ამოუდგენ გვერდში მათთან ერთად კომუნისტურ პარტიას, ჩაებან აღმშენებლობითი მუშაობაში საქართველოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

# სამხედრო საქმე.

## კვამლის ფარდები.

კვამლი შენიღბვის მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა. კვამლის სქელი ღრუბელი წარმოადგენს ფარდას და ნიღაბს, რომელიც ჰფარავს მოპირდაპირისაგან ჯარების მოთავსების ადგილსა და მოქმედებას ან ხელს უშლის მტრის მოქმედებას. შენიღბვის ასეთი საშუალება დიდი ხანია, რაც შემოღებულია. 200 წლის წინად, ომის დროს, შვედებმა, რომ დაეფარათ, თავიანთი გადმოსასვალი გზა მდინარე ნარვის ყინულზე (ეს იყო ზამთარში), ცეცხლი გაუჩინეს ჩალასა და ნაგავს. თეთრი კვამლის სქელმა ღრუბლებმა სრულიად დაფარეს. შვედების ბანაკი, რამაც ხელი შეუწყო მათ შეუმჩნევლად გადმოსულიყვენ რუსეთის სანაპიროზე და მოულოდნელი დაკვრით უკუაქციათ რუსები.

იმპერიალისტურ ომში დაიწყეს ერთგვარი ვაზნების დამზადება სპეციალური მწველი შემადგენლობით. ეს ვაზნები წვის შემდეგ სწრაფად ავრცელებდენ კვამლის სქელ ღრუბელს. კვამლის ფარდების წარმოსაშობად იხმარება ორი ხერხი:

პირველი—ეს არის სროლა ერთგვარი კვამლიანი ჭურვებით (ქვემეხებიდან, ნაღმტყორცნიდან და თოფებიდან—თოფის კვამლოვანი გრანატები). ეს საშუალება იხმარება უმთავრესად იერიშის წინ მტრის დასაყრდენ და სათვალთვალო წერტების დასაბრმავებლად.

მეორე ხერხი—ეს არის კვამლის ფარდის წარმოშობა კვამლოვან ქილების, ქვაბების საშუალებით და სხვა. ეს იხმარება უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა თავის პოზიციის დაფარვა მტრისაგან.

კვამლის ფარდების წარმოშობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რათა კვამლი მიდიოდეს ალმა და სქლად. მაშინ ის დაჰფარავს დიდ სივრცეს. სიმაღლეზე, სისქეზე და ხანგრძლივობაზე მოქმედებს ქარი და ჰაერის ტემპერატურა (სითბო-სიცივე). ფარდები იხმარებიან ზამთარშიაც და ზაფხულობითაც. თბილ და მშრალ ამინდში კვამლი ადის მაღლა და პირიქით, ცივ და ნოტიო ადგილში—კვამლი ეფინება დაბლა. კვამლის ფარდების ხმარების დროს საჭიროა რომ კვამლის ფერი შეეხამებოდეს ადგილმდებარეობის ფერს. ამ ჟამად კვამლის ფარდები იხმარება სამი ფერის: შავი, თეთრი და მოთეთრო-ნაცრის ფერი. ზამთარში და აგრეთვე ზაფხულში, დილაობით ან საღამოობით და ნისლის დროს ყველაზე უმჯობესია ხმარებულ იქნას თეთრი კვამლის ფარდა, ღამით—შავი.

კვამლის ფარდებში მოქმედების დროს პირველყოვლისა საჭიროა არ დაჰკარგო მიმართულება და მუდამ კავშირი გქონდეს ამხანაგებთან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კვამლის ფარდები შენიღბვის ერთი საუკეთესო ტეხნიკური საშუალებათაგანია საბრძოლო მოქმედების ყოველგვარ შემთხვევაში (შეტევის, მოგერიების, მდინარეზე გადასვლის, ლაშქრული მოძრაობის დროს და სხვა).

პ.

# სომხეთში

## წყალდიდობა ერევანში

### ზარალი ნახევარ მილიონ მანეთს უდრის

უკანასკნელ დღეებში დიდი წვიმების გამო გადიდდა გეტარის წყალი და გადმოვიდა ლენინის, ნალბანდიანისა და სხვა ქუჩებზე. წყალმა აავსო სარდაფები და დაბლა სართულები, გაანადგურა ბაღები და ბოსტნები. აგურის ქარხანაში გაფუჭებულია 80 000 აგური. ზარალი დაახლოვებით ნახევარ მილიონს უდრის. მომავალ წყალდიდობის ასაცილებლად ამაგრებენ გეტარის ნაპირებს.

## მეფუტკრეობა წითელ ყაზარმებში.

ჩვენი ქვეყანა რომ თაფლის ქვეყანაა, ეს ყველამ იცის. მაგრამ საქართველოდან თაფლი და თაფლის ნაწარმოები, ცვილი და სხვა არამც თუ არ გაიზიდება საზღვარ გარეთ, არამედ შინ სახმარადაც საკმაოდ არ მოგვეპოვება. ამის მთავარი მიზეზი ჩვენი ქვეყნის მიდამოს სიღარიბე კი არ არის თაფლიან ბალახეულობით და ხით, არამედ მეფუტკრეობის უცოდინარეობა და ჩარჩოიან სკებში ფუტკრის მოშენების დაგვიანებით შედგომა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ჯიშის ფუტკარი საუკეთესო ჯიშად ითვლება მთელ დედამიწის ზურგზე და დიდი მოთხოვნილებაა ფუტკრის „დედოფლისა" უცხოეთ ბაზარზე.

მეტყვით რა დამოკიდებულება აქვს წითელ ყაზარმას მეფუტკრეობასთან და რა საშუალებით უნდა მოახერხოს წითელ არმიელმა სამსახურის დროს შეისწავლოს მეურნეობის ეს მეტად სასარგებლო დარგი?

წითელ ყაზარმაში იკითხება სხვა და სხვა გვარი ლექციები, იმართება საუბრები სხვა და სხვა თემებზე და რატომ არ შეიძლება მოეწყოს ლექციები მეფუტკრეობის შესახებაც. ამას თუ დავურთავთ მეფუტკრეობიდან ბუნდოვან სურათების ჩვენებასაც მსმენელთ და მაყურებელთ დიდათ დაეინტერესებთ და გარკვეულ ცოდნას შევძენთ ამ დარგიდან.

წ. არმიელებისთვის უცხო ხილი არ არის ექსკურსიები, სამხედრო გასეირნება, უქმე დღეებში გარნიზონის (საბინაოდ მდგომი ჯარი) დაწესებულებათა და საწარმოვო ქარხნების დათვალიერება, გარნიზონის საცხოვრებელ ადგილის მიდამოების დათვალიერება, და სხ. ყოველ გარნიზონს შეიძლება მოეპოვებოდეს მახლობლად ვინმე მეფუტკრე; კერძოდ თბილისში საცდელ-სანიმუშო საფუტკრეა. აი სწორედ ამ კერძო საფუტკრეებისაკენ და სამეცნიერო დაწესებულებისაკენ წ. არმიელთა წაყვანა, იქ მცოდნე პირის ახსნა, ჩვენება სკისა და შიგ მცხოვრებლების, ნახვება ფუტკართან მოპყრობის ილეთების ნათელ წარმოდგენას შეუმუშავებს ყოველ დაინტერესებულ წ. არმიელს. დახელოვნება და ცდილობა ამ დარგში კი უკვე მომავლის საქმე იქნება.

— თუ შეიძლება, დამიხედე სკებს,—მომართა სოფლად ჯარიდან დაბრუნებულმა წ. არმიელმა—მეტად ხოცავენ ერთმანეთს და ვერ გამიგია რაშია საქმე!..

დაუხედე და ვუთხარ: სკაში დედო არ ეყოლებათ და სულ დაგიწყდება ეგ სკა მეთქი.

— მართალს ამბობთ ჯარიდან რომ მოველ მინდოდა ერთი სკა ორად მექცივნა. მართვი არ გამოვიდა... ავდექი ჩარჩოები გავყავი და ორ სკაში ჩავაწყე)... არც დედო ვიცოდი და არც სხვა!..

მას შემდეგ დაემართა ამ სკას ეს საქმე!..

ტყუილა უბრალოდ, გამოუცდელობის და უვიცობის მიზეზით დაეღუპა სულ ნაკლები 50,000 მუშა ფუტკარი.

ყველა დამეთანხმებით, რომ წ. არმიელნი ერთი მისვლით შეიძენენ საფუტკრეზე ისეთ ელემენტარულ მეცნიერულ ცნობებს, რომ ასეთ რამეს ადგილი არ ექნება მთელს საქართველოში.

უმთავრესი კი ის არის, რომ საქართველოს ყველა კუთხის წ. არმიელნი ფართოდ მოჰფენენ წ. ყაზარმაში გაგონილ და ნახულს და თუ გინდაც რამოდენიმე ერთეული პირიც კი დარწმუნდება მეფუტკრეობის სახეიროებაში, მაშინ რამოდენიმე წლის შემდეგ ასობით გვეყოლებიან საქართველოს ყოველ კუნჭულში მეფუტკრენი.

ლ. ცაგარელი.

# ჩვენი ლენინის კუთხე.

5-თე ლეგიონი

ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ლენინის კუთხეში საუბრების წარმოებას. დაარსებულია კომპარტიის ისტორიის, საბჭოთა აღმშენებლობის და ახკომკავშირის ისტორიის შემსწავლელი წრეები. ყველა ესენი რიგრიგობით აწარმოებენ მეცადინეობას ლენინის კუთხეში. კურსანტები გულმოდგინეობით უსმენენ საუბრებს, და აქტიურ მონაწილეობასაც კი ღებულობენ შეკითხვებით. ხელმძღვანელები ენერგიულად მუშაობენ; სულ ცოტა დრო კიდევ და ჩვენი კურსანტები შესაფერი მომზადებით დაუბრუნდებიან თავიანთ ნაწილებს.

წ. არმ. ვ. ნოზაძე.

# ხშირად ასეთი დათვალიერება.

4-ე ლეგ. 9-ე ასეული.

19 ოქტომბერს ჩვენი ასეული ინახულა ლეგიონის მეთაურმა და სამხედრო კომისარმა. ისინი დაწვრილებით გაეცნენ ჩვენს ცხოვრებას და შემდეგ შეგვეკითხენ თუ რა უფრო გვესაჭიროებოდა. ზოგიერთი საჭიროებანი მოხსენდა ამხანაგებს, რომლებიც შეგვპირდენ გადმოგვიგზავნით, როგორც კი მიიღებს ლეგიონი.

ჩვენი უფროსების ასეთმა ყურადღებამ ძლიერ გაახარა არმიელები და უფრო განახლებული ენერგიით შეუდგნენ მეცადინეობას. ცენტრს ძლიერ დაცილებული ვართ და თითეული ასეთი გახსენება, ნახვა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ასეულის შემადგენლობაზე. კარგი იქნება ხშირად მოგვინახულებდენ ამხანაგები და თავის დროზე ადგილობრივ გაეცნობოდენ ჩვენს საჭიროებებს.

კ. ზარნაძე.

# სამნეო საკითხები წესრიგდება

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონის სამნეო ნაწილი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ შესაფერი მომზადებული შეახვედროს ნაწილი ზამთარს.

ჯერ-ჯერობით შეკეთებული იქმნა ლეგიონის სამზარეულო, რომელშიდაც დაცულია ყველა ჰიგიენური მოთხოვნილებები. შეძენილ იქმნა რამოდენიმე ათეული კუბიკური საჟენი შეშა, მომარაგებული იქმნა საჭირო სურსათ-სანოვაგე ბოსტნეულობა და სხვა.

ნაწილობრივ ხდება ლეგიონის საცხოვრებელ ბინების შეკეთება საზამთროთ, ამ მოკლე ხანში მოელიან საზამთრო ტანისამოს ლეგიონის შემადგენლობისათვის. სამნეო ნაწილის ასეთი ენერგიული მუშაობა საერთო კმაყოფილებას იწვევს ლეგიონში. იმედია არ შენელდება ეს საქმიანობა და კიდევ უფრო ენერგიული ზომები იქნება მიღებული დასაკმაყოფილებლად.

სამხკორი სან.მანი.

# ვემზადებით შესახვედრათ!

მე 4-ხე საგაუბიცო ბატარეია.

ჩვენი ბატარეია ძლიერ დაშორდა თავის ლეგიონს, მაგრამ სამხედრო და პოლიტიკურ დარგში მუშაობა მაინც არ შეფერხებულა.

მეცადინეობის შემდეგ წ. არმიელები მაინც არ კარგავენ დროს. სალამოის ამოკითხვის შემდეგ დაუძახებენ ერთი მეორეს და დასხდებიან ლენ-კუთხეში.

აბა ამხანაგებო! სადაცაა ზოგი გრძელ ვადიან შვებულებაში უნდა წახვიდეთ, დავიწყოთ ისეთი კამათი, რომ ცხოვრებაში თქვენც გამოგადგეს და ცოტა ჩვენც გავიგოთ, თორემ ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში მივიღებთ ახალ წვეულებს და თუ ჩვენ კარგი მომზადებული არ შევხვდით, სირცხვილია, რიგიანათ დაუკდოთ ყური“.

ასეთ ხმა მაღალ კითხვაში და კამათში ხშირად ორ-სამ საათს გაუვლია, რომ ვერ შეგვიმჩნევია. ამით პოლიტსაათის მოსმენაც გვიადვილდება. მაგრამ მაინც აქვს ადგილი ერთ ნაკლს, არა გვაქვს დაარსებული სხვა და სხვა წრეები; საჭიროა წრების ჩამოყალიბება რომელიც დიდ დახმარებას გაგვიწევს ახალ წვეული არმიელების მუშაობაში ჩასაბმელად.

სამხკორი ს. ძიროვნელი.

## მოგვეცით საათი.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდი.

სკოლის უმწყობრო გუნდში დიდი ხანია არა გვაქვს საათი. მორიგეს ამის გამო ყოველთვის სამწყობრო გუნდში უხდება სირბილი მაგრამ იქაც არ გვიშვებენ. თავის დროზე გუნდში ბლარაფერი კეთდება უსაათობის გამო. ჩვენთვისაც აუცილებელია ერთი საათი. მოგვეცით ის.

წ. არმ. გ. გ—ლოშვილი.

# ამხ. ამხ. ორჯონიკიძე და ელიავა 2-ე ლეგიონში.

20 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძემ და ელიავამ ინახულეს ჩვენი ლეგიონი.

დაიარეს სათითაოთ ყველა ასეულები. ეკითხებოდნენ წ. არმიელებს, რომლებიც სათანადო და გარკვეულ პასუხებს აძლევდნენ ყველაფერზე.

ამხ. ორჯონიკიძე დიდის ინტერესით ეკითხებოდა წ. არმიელებს ოჯახურ და სოფლის მდგომარეობაზედ.

რამდენიმე წ. არმიელები შეეკითხენ სხვა და სხა მათთვის საჭირბოროტო და გაუგებარ საკითხებზედ. ამხ. ორჯონიკიძემ ყველაფერი ჩაიწერა და დაპირდა მიცემულ საკითხების გამორკვევა. ამხანაგებმა დაათვალიერეს აგრეთვე წ. არმიელთა სამზარეულო, გასინჯეს სადილი.

სამზარეულოს მორიგემ ამხ. ორჯონიკიძეს ამის გამო მიმართა: „სადილი რომ გასინჯეთ ხელი მომიწერეთო“, რამაც საერთო სიცილი გამოიწვია. ამის შემდეგ დაათვალიერეს კლუბი, ლენინის ოთახი, სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

სტუმრები დიდი კმაყოფილი დარჩენ და ნასიამოვნები გამოგვემშვიდობენ.

ვ. ლ.

# ჩვენი კლუბის საქმიანობა საერთო ტერ შეკრების დროს.

6-სე ტერლეგიონი.

(დასასრული).

**საწრეო მუშაობა.**

საწრეო მუშაობა საერთო შეკრების პერიოდში მიმდინარეობდა ნორმალურათ. ტერ არმიელების მოთხოვნილებისამებრ კლუბის გამგეობა აჩაღებდა ამა თუ იმ წრეში მუშაობს. ლეგიონის ფარგლებში არსებობდა 25 წრე. სახელდობრ: პოლიტწრე 5, სამხედრო ცოდნის წრე 4, საერთო განმანათლებელი 3, ლიტერატურული 3, სამხკორთა 3, სპორტიული 4, და დრამატიული 3.

პოლიტწრეებში ირიცხებოდა 60 წევრი ამათგან ტერ არმიელები 32, ძირედი არმიელები 13, უფპოლიტ შემადგენლობა 15. სამხედრო ცოდნის წრეებში ირიცხებოდა 50 წევრი, ამათგან 28 ტერ არმიელი ძირედი 12, უფპოლიტ შემადგენლობა 10. საერთო კანმანათლებელ წრეებში 32 წ. ამათგან 19 ტერ არმიელი, 9 კადრის არმიელი და 4 უფპოლიტ-შემადგენლობა. ლიტწრეებში ირიცხებოდა 36 წევ. ამათგან 22 ტერ არმიელი 10 კადრის არმიელი 4 უფპოლიტშემადგენლობა. სამხკორთა წრეებში ირიცხებოდა 30 წევრი 18 ტერ არმიელი, 7 კადრის არმიელი, 5 უფპოლიტშემადგენლობიდან. სპორტწრეებში 44 წევრი; ამათგან 20 ტერ არმიელი, 9 კადრის არმიელი, და 15 უფპოლიტშემადგენლობა. დრამწრეებში 33 წევრი, ამათგან 15 ტერ არმიელი, 6 კადრის არმიელი და 12 უფპოლიტშემადგენლობიდან.

საერთო საწრეო მუშაობაში ჩაბმული იყო 154 ტერ არმიელი, ძირედი არმიელები 66 და უფ-პოლიტ-შემადგენლობიდან 65. საერთო რიცხვი საწრეო მუშაობაში ჩაბმულთა შეკრების დროს უდრიდა 285 კაცს. წრეებს ხელმძღვანელობდენ ტერ არმიელების 70 პროც. ძირედი არმიელების 20 პროც. და უფპოლიტშემადგენლობის 10 პროც. ყველა პროგრამებს ისინი ღებულობდნენ კლუბის გამგეობიდან, რის მიხედვითაც ტარდებოდა მეცადინეობა. მათი საქმიანობა გამოიხატა შემდეგში:

იმართებოდა პოლიტ-ლიტ და სამხედრო გასამართლებები, ეწყობოდა თვითმოქმედების კომბინიური და კითხვა პასუხის საღამოები, მუშავდებოდა ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები. წრის წევრები აკეთებდენ მოხსენებებს წითელ არმიელთა საერთო კრებებზე.

სამხკორი ე—ლი.

# არ გვეხმარებიან

1-ლ საარტ. ლეგიონი.

ზოგიერთი ჩვენი უფროსთა შემადგენლობიდან არ გვ ხმარებიან კლუბთან არსებულ წრეების მუშაობაში. როგორც კი მოილევენ სამხედრო მეცადინეობას, იმ წუთშივე მირბიან სახლებში. კლუბთან არსებობს წრეები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ვერ არიან კარგად ჩამოყალიბებული. არის ბრძანება რომ უფ და პოლიტშემადგენლობამ შესაფერი მონაწილეობა მიიღოს წრეების მუშაობაში, მაგრამ ეს არ ტარდება ცხოვრებაში, მეთაურების საწრეო მუშაობაში ჩაბმა კი დიდ ნაყოფს მოგვიტანდა.

კარგი იქნება სათანადო ყურადღებით მოეკიდებოდენ ამხ. მეთაურები ლეგიონში არსებულ წრეების მუშაობას და შესაფერ მონაწილეობას მიიღებდენ მასში. ამას მოითხოვს წრის მუშაობის ინტერესები. ჩვენს წრეებში ყველა მეთაურებმა უნდა მიიღონ ვისაც როგორ შეუძლია ისეთი მონაწილეობა.

სამხკორი ა. არველაძე.

# ამხ. მაჭარაძის ხსოვნას.

ქართულ ცხენ. ლეგიონის კომ-კავშირის და წითელ არმიელების რიგებს გამოაკლდა ერთი ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა აქტივისტი წითელი მოლაშქრე ამხ. ვასილი მაჭარაძე. ის იყო გაჭირვებულ გლეხის შვილი, თვითონ კი მუშა ზეინკალი, ამხ. მაჭარაძე იყო 1-ლი ესკადრონის იარაღის გამგე, და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. გარდა ამისა ის აქტიურად მუშაობდა წითელ არმიელთა კულტ-საგანმანათლებლო დარგში ლენ კუთხეში, ხშირად ატარებდა საუბრებს არმიელებთან, აწარმოებდა გაზეთის ხმამაღალ კითხვას და სხვა, ერთი სიტყვით ის ყოველმხრივად სცდილობდა, პირნათლად შეესრულებინა მუშებისა და გლეხების ყველა დავალებები. ასეთი ენერგიული მუშაკი ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წითელ არმიელთა რიგებს.

ამხ. ვასილის ხსოვნა წარუშლელი დარჩება ჩვენს გულში და ნიშნათ მისი პატივის ცემისა ვფიცავთ, უმწიკვლოდ გავატაროთ ის იდეები, რომელსაც ის ემსახურებოდა მთელი თავისი არსებით.

სამხკორი ს. ჩახაია.

# სოფელთან კავშირს ვაძლიერებთ

მეხუთე ლეგიონი

ლეგიონს თავის შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი № სოფელი, რომელთანაც მიუხედავად მისი დიდი მ ნძილით დაცილებისა მაინც ვაწარმოებთ შესაფერ მუშაობას. გლეხებთან იმდენად ვართ დაახლოვებული, რომ ისინი ქალაქში ჩამოსვლისას ხშირად მოდიან ლეგიონის კლუბში და დიდი ყურადღებით უსმენენ სხვა და სხვა ხასიათის საუბრებს. თავის მხრივ ისინიც გვიამბობენ თავისი სოფლის ჭირ-ვარამის შესახებ და ჩვენც უწევთ შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას.

საშეფო სოფლის გლეხები ხშირად მოდიან აგრეთვე ლეგიონის ბიბლიოთეკაში; კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ათვალიერებენ სხვა და სხვა კუთხეებს, სასროლო კაბინეტს და აქედანვე მიაქვთ ლიტერატურა საშეფო სოფელში ქოხ-სამკითხველოსთვის. ერთი ჩვენი ცვალებადელი იმავე სოფლის მცხოვრები, ხელმძღვანელობს ქოხ-სამკითხველოს და აწვდის ჩვენგან მიცემულ ლიტერატურას. ამჟამად ლეგიონის დრამატიული წრე მიემგზავრება აღნიშნულ სოფელში წარმოდგენის დასადგმელად რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება სოფლის ქოხ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

სამხკორი კ. დე—ძე.

# სამხკორთა შენიშვნებიდან.

## მეტი თვალყურის დევნებაა საჭირო.

1 ლი ლეგიონი.

ლეგიონში დანიშნულია სამნეო საკანტროლო კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს წითელ-არმიელთა ულუფის სწორ განაწილებას, მიუხედავად ამისა სამზარეულოში ისევ უწესრიგობაა. კომისიის წევრი მჟავანაძე კი, რომელიც სამზარეულოშია ამას ყურადღებას არ აქცევს. ხახვი, კარტოფილი და სხვა იფლანგება სამზარეულოში თავმოყრილი არმიელებისაგან. სადილის დამზადების შემდეგ კი მამიდაშვილობას აქვს ადგილი. ნაცნობებს აწვდიან კერძს ცალკე ჯამებით. ყველა ამას უყურებს კომისიის წევრი მჟავანაძე და ყურსაც არ აპარტყუნებს. სანამდე უნდა გაგრძელდეს ას?

სამხკორი ფირუზი.

## მოაწყვეთ სასადილო.

1-ლი არტლეგ. 3-მე ბატარეია.

ბატარეიაში ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ მოეწყო წითელ-არმიელთა სასადილო. ამ ჟამად კი არსებული სასადილო სამაგალითოა თავისი სისუფთავით. ბატარეიის თითეულ მწყობრს აქვს საკუთარი სუფთა მაგიდა. თითეულ მაგიდაზე კი თითო სადილის დამრიგებელი არმიელი. მაგიდაზე წინდაწინაა დამზადებული თითეულისათვის პური და სხვა. ამორჩეულია აგრეთვე მაგიდის უფროსი. სადილობა იშვიათური წესიერებით მიმდინარეობს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი არიან ჩვენი მეთაურები.

სამხკორი ძირულელი.

## საღამო.

5-თე ლეგ. კლუბი.

19 ოქტომბერს ლეგიონის კლუბში ტროცკის სახელობის პიონერებმა გამართეს საღამო წარმოდგენა. პიონერები შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი ლეგ. სკოლის კომუჯრედს, რომელიც ამ დღესაც შესაფერ დახმარებას უწევდა მათ. დაიდგა პიესა პარიზის კომუნართა ცხოვრებიდან. წითელ-არმიელები საღამოს ბოლომდე დაესწრენ.

წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები. ბავშვებმა წაიკითხეს რევოლიუციონური ლექსები და სხვა. საღამო ზედმიწევნით კარგად იქნა ჩატარებული.

წ. არმ. გ. ნოზაძე.

# პარტიული ცხოვრება

## მე-4 საგაუბიცო ბატარეია.

1-ლი არტლეგიონის საგაუბიცო ბატარეიაში შესდგა 26 ოქტომბერს კომუჯრედის მორიგი ღია კრება. ამხანაგები მრავლად დაესწრენ. მოსმენილი იქნა მოხსენება საქართველოში მრეწველობის მდგომარეობის შესახებ. დამახასიათებელი ციფრების მოყვანით კრება თვალნათლივ გაეცნო ჩვენი მეურნეობის წინსვლას. რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

ამის შემდეგ ჩატარებული იქნა საუბარი ოქტომბრის რევოლიუციის 8 წლის თავის შესახებ. არჩეული იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა დღესასწაულის ჩატარება ნაწილში.

კრებამ განიხილა აგრეთვე პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები და ანკეტები. ამხანაგების უმეტესობა მიღებული იქნენ პარტიის კანდიდატებათ. ამავე კრებაზე დაურიგდა ანკეტები ზოგიერთ ამხანაგებს, რომელთა თხოვნები განხილული იქნა შემდეგ მორიგ კრებაზე.

წ. არმ. გ. ბარათაშვილი.

# უცხოეთის არმიებში.

**შვეციის არმიის მანევრები.**

სექტემბრის დამლევიდან დაიწყო შვეციის არმიის დიდი მანევრები, რომელშიდაც მთლიანად იღებენ მონაწილეობას შვეციის მე-2 და მე-4 არმიები. მეორე არმიის სათავეში სდგას გენერალი რუდენშელდი, ხოლო მეოთხე არმიაში კი გენერალი ტალლი. მანევრებზე დაცულია საიდუმლოებათა დაცვის პრინციპი, როგორც არმიების შემადგენლობის, ისე მათი ადგილმდებარეობის შესახებ.

**შვეციის ფლოტის შემადგენლობა.**

ამ ჟამად შვეციის ფლოტში შედის სანაპირო თავდაცვის 12 ჯავშნოსანი, 1 ჯავშნოსანი კრეისერი, 3 მსუბუქი კრეისერები, 1 სანაღმოსნო გადამღობი, 10 კონტრნაღმოსანი, 27 ნაღმოსანი, 2 მონიტორი, 17 წყალქვეშა ნავები, 6 მცურავი ბაზა და 22 კონონიორკა ნავები.

**აირსაწინააღმდეგო მომზადება ინგლისის ფლოტში.**

ინგლისის საადმირალომ გამოიანგარიშა და უკვე დაგზავნა ახალი ინსტრუქციები აირსაწინააღმდეგო მომზადების გასატარებლად ყველა სამხედრო გემებზე. ინსტრუქციების თანახმად, მიუხედავად მათი მდგომარეობისა და სპეციალობისა ყველა ოფიცრები, ყველა მეზღვაურები და ადმინისტრატიული შემადგენლობა პერიოდულად უნდა გადიოდეს აირსაწინააღმდეგო მომზადების ერთ კვირეულ კურსს. ამ მიზნით გახსნილი იქნა 3 სკოლა. თითეული ინგლისური გემი ვალდებულია გაგზავნოს სკოლებში თავის შემადგენლობიდან ყველა ის, რომლებსაც არ გაუვლიათ აღნიშნული მოსამზადებელი კურსები.

**ჰაეროპლანზე ცეცხლის გაჩენის საწინააღმდეგო ზომები.**

ჰაეროპლანზე ყველაზე საშიში ადგილია, ის ნაწილი, სადაც ინახება ბენზინი. საჭიროა, რომ მოწინააღმდეგის ტყვიამ გახვრიტოს ეს ჭურჭელი, რომ იძულებული შეიქნეს ჰაეროპლანი დაეშვას ძირს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სდგება ჰაეროპლანზე ცეცხლის გაჩენის საშიშროების წინაშე.

მსოფლიო ომის გამოცდილება ამტკიცებს, რომ ყველა დაღუპულ ჰაეროპლანების 80%, ამ მიზეზით დაიღუპენ.

ამ ჟამად ავსტრიაში გამოიგონეს ერთგვარი საშვალება ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ბენზინის მოსაკავებელ ჭურჭლის შიგნითა ზედაპირი დამზადებულია ერთგვარი რეზინის ნაირი ნივთიერებისაგან, რომელიც გაიხვრიტება თუ არა ტყვიიდან—ისევ იკრავს თავს, ხოლო თუ ცეცხლის გამჩენი ტყვია იქნა იმწყვრევს თავის თავში და აქრობს.

# ხელისუფლების მოღვაწეობა

**ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოში**

**მოგების განაწილება.** სახალხო კომისართა საბჭომ გაანაწილა სახელმწიფო სამმართველოს მიერ 1923 წ. მოგებული თანხა.

**საიჯარო გადასახადი.** ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინსახკომს და ა.-კ. პროფსაბჭოს შეადგინონ დადგენილების გეგმა სანატორიუმების და დასასვენებელ სახლების საიჯარო გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ.

**ბამბის ფასი.** სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით წელს გლეხებს მიეცემათ დახარისხების თანახმად 5 მ. 20 კ. 5 მ. 10 კ., 4 მ. 60 კ. 3 მ. 51 კ. და 3 მან.

**სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ** სახკომსაბჭომ გადასდო 3.095.645 მანეთი.

აბრეშუმის თესლის დამზადების მოსაწყობად და მოსაგვარებლათ სახკომსაბჭო იწვევს გაზაფხულისთვის დაინტერესებულ ორგანიზაციების თათბირს.

# ამბები სოფლებიდან.

— **გლეხთა სახლი ზუგდიდში.** ზუგდიდში უკვე მოეწყო გლეხთა სახლი. სახლის საზეიმო გახსნა მოხდება ახლო ხანში.

— **სოფ. ფილიპოვკაში** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომი ხსნის გლეხურ ახალგაზრდობისათვის სკოლას.

— **წყაროს გაყვანა.** ქვიშხეთის სათემო აღმასკომმა (გორ. მაზრა) დაადგინა შეიძინოს ცემენტის საკმაო რაოდენობა და შეუდგეს სოფ. მონასტერში წყაროს გაყვანას.

— **მესაქონლეობის გამოკვლევა.** ამჟამად გორის მაზრის სოფლებში მიმდინარეობს მესაქონლეობის გამოკვლევა.

— **წერა-კითხვ. სალიკვ.** სკოლების საჭიროებისათვის შორაპნის აღმასკომმა შეიძინა სასწავლო ნივთები.

— **ტყეების გადაცემის გამო.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს სააგიტაციო კამპანიები ტყეების გლეხებზე გადაცემის გამო.

# ახალი ამბები.

**მოძრავი კინოები.** ტფილისის პოლიტგანათლების განყოფ. გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს დამატებით 2 მოძრავი კინო-აპარატი.

— **წერა-კითხვის სალიკვიდაციო** სკოლებისათვის ტფილისის პოლიტგანათლების განყოფილება ამზადებს სახელმძღვანელოებს და სამოსწავლო ნივთებს.

— **ქინა-ქინის შემოტანა.** 1925-26 საანგარიშო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 20 ათასი მანეთის ქინა-ქინა.

— **შაბიამანი.** ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს წელს საზღვარგარეთ შეიძინოს 120 ათასი მანეთის შაბიამანი.

— **კომუნარების ბალი.** დღეს ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგება კომუნარების (ყოფ. ალექსანდრეს) ბაღის გამშვენიერებამოწყობას, რის გამოც ბაღი დაიკეტება ერთი წლით,

— **დაზღვეულთა რიცხვი** ამ ჟამათ მთელ ამიერ-კავკასიაში ითვლება 250 ათასი დამზღვეული

— **ასანთი.** მომავალი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 165 ვაგონი ასანთი.

— **სასოფ.-სამეურნეო იარაღები.** საქ. სახელმწ. ვაჭრობის ამხანაგობას განზრახული აქვს გაასაღოს 250 ათასი მანეთის სას.-სამ. იარაღები.

— **დაფნის ფოთოლი.** წელს საქართველოდან საბჭოთა კავშირის ბაზარზე გატანილ იქნება 10 ათასი ფუთი დაფნის ფოთოლი.

**წით. არმიისა და ფლოტის ბაღში.**

— **დღეს** დაიწყება 6 სერიანი კინო სურათის „უსახელო კაცი“-ს ჩვენება, ცნობილი მსახიობის გარრი ლიდტკეს მონაწილეობით.

# პასუხი შეკითხვებზე·

**კითხვა.** ნაყიდი მქონდა თავადისაგან ერთი დღიური სახნავი მიწა. ამ მიწის დაბრუნება სურს პატრონს. ამბობს რომ ეს სანადელო მიწა იყოვო. როგორ მოვიქცე?

წ. ა. შ. რომელაშვილი.

**პასუხი.** მიმართეთ მიწის კომისიას.

**კითხვა.** ვარ ფიზიკურად სუსტი, რის მოწმობა მაქვს ექიმისაგან. შემიძლია თუ არა გადავიდე უმწყობრო გუნდში?

**პასუხი.** მიმართეთ ლეგთავს და სამხკომს.

**კითხვა.** ჯარში გაწვევამდე 7 წელს ვმსახურობდი პარიკმახერთან ქარგლათ. საპარიკმახეროს პატრონმა არ მომცა ორი კვირის ქირა. მერგება თუ არა?

წ. ა. გ. კალანდარაშვილი.

**პასუხი.** გერგებათ. მიმართეთ შრომის სასამართლოს.

**კითხვა.** მე გამიწვიეს ჯარში 1924 წ. შემოდგომაზე, ჩემი ძმა კი—1925 წ. გაზაფხულზე. სახლში დატოვებული გვყავს შრომის უნარ მოკლებულნი მშობლები და ომის ინვალიდი ძმა. ორივე ძმებს გვეკუთვნის თუ არა კადრში სამსახური?

ე. ხაჭაპურიძე.

**პასუხი** მიმართეთ უშუალო უფროსს საკითხის აღსაძვრელად.

**კითხვა.** ოჯახში ვიმყოფებით 13 სული, ამათში ორი შრომის უნარ მოკლებული. გვქონდა სულ 5 დესეტინა მიწა, ვენახით და სასახლით. ჩემი ჯარში გაწვევის გამო ერთი ნაჭერი მიწა აღმასკომის თავმჯდომარემ ჩამომართვა. ქონდა თუ არა ამის უფლება და ან ვის უნდა მივმართო ამის შესახებ?

წ. ა. იოსებ ბანყულაშვილი.

**პასუხი.** აღმასკომის დადგენილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მიწად მოქმედების კომისარიატში.

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში. ვმსახურებთ ტერლეგიონის კადრში. როდის წავალთ უვადო შვებულებაში?

ბერაძე.

**პასუხი.** 1926 წ. იქნება განკარგულება მაგის შესახებ.

**კითხვა.** გაჭირვების გამო მამაჩემს დაუგირავებია მიწა სხვისთვის 15 მან. მამის სიკვდილის შემდეგ მოვსთხოვეთ მიწის დაბრუნება, მარა მან უარი გვითხრა, ვინაიდან მიწა მე ვიყიდეო. ნასყიდობის ქაღალდი არ აქვს. როგორ მოვიქცეთ?

წ. ა. ზირაქაშვილი.

**პასუხი.** მიმართეთ მიწის კომისიას და გაასაჩივრეთ სასამართლოში.

**კითხვა.** წ. ა., რომლებიც იჯდენ გამსახლში 2-3 თვე სასჯელის მოსახდელად, თუ ეთვლებათ მათ ეს დრო სამსახურათ?

ცხვარაშვილი.

**პასუხი.** კანონის ძალით მისჯილებს დაპატიმრების დრო არ ეთვლებათ.

**კითხვა.** ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურებს ოქტომბრიდან მიეცემა თუ არა ჯამაგირი?

ზარნაძე.

**პასუხი.** წაიკითხეთ „წ. არმ.“ № 244 პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** გამიწვიეს 1924 წ. მაისში ტერლეგიონში. როდის გამანთავისუფლებენ?

შამუგია.

**პასუხი·** გაგიშვებენ 1 დეკემბრამდე.

# ნარევი.

## ძველი ქალაქის ნაშთები კასპიის ზღვის ძირზე.

ბაქოში ჩამოვიდა ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ვოზნესენსკი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია კასპიის ზღვის დონის ბოლო დროის ცვალებადობა.

ადგილობრივ მეზღვაურთა ცნობით კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოიპოვება აუარება ნაშთი კაცობრიობის კულტურისა, რომელიც არსებობდა იმ ალაგას, სადაც ეხლა ზღვაა სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, სავაჭრო ფლოტის კაპიტანმა ატაევმა შესცვალა გემის ჩვეულებრივი გზა და წავიდა „შიხოვაია კოსას“ ბოლოს მიმართულებით. მზიანი დღე იყო. ლოტი ხშირად უჩვენებდა ზღვის სიმაღლის ცვალებადობას; ხშირად ეს სიმაღლე არ აღემატებოდა დაახლოებით 2 საჟენს, თუ რომ გემი მისცურავდა ქალაქის თავზე, რომელიც ამ ჟამად დასამარებულია კასპიის ტალღებ ქვეშ. კარგი დაკვირვების შემდეგ გამოჩნდა მთელი ქუჩები ქალაქისა აზიური ხუროთმოძღვრებით.

ადგილობრივი მეთევზეების მოთხრობით ასეთი ქალაქები ყოფილა კასპიის ზღვის სხვა ადგილებშიაც. წყნარ და მზიან ამინდში შეიძლება თურმე ქალაქის ნაშთის დანახვა „იგნატიევის ბანკის“ ახლოს. ამ ქალაქის ძველი სახელი ყოფილა ხარაბაშეჰერი. ზღვის ძირზე ჩვენ დრომდისაც შენახულა გზატკეცილი; ის იწყება ბაქოს სიმაგრიდან, მიდის წყალქვეშ ბაილოვისაკენ შახოვის სოფლის ქარვასლით და შემდეგ იმალება კასპიის ზღვის ძირზე.

როგორც ფიქრობენ ეს ქალაქები მოექცა ზღვის ქვეშ ძლიერი მიწისძვრის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა რამოდენიმე საუკუნის წინად და რომელმაც სასტიკად შესცვალა მიწის სახე და დაღუპა მთელი სანაპიროს მოსახლეობა.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ.** ამხ. ბურკაძეს და ძიროვნელს, შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ.** გ. სალაძეს. თქვენი ლექსები არ გამოდგა.

**ამხ.** ანდს. (4-ხე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ჩვენი მოგზაურობა“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ.** **ვ. ფოცხიშვილს.** თქვენი წერილი „6-სე ლეგ“. გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

ამხ. გოგავას. ლექსი „მზად ვართ“ არ დაიბეჭდება.

**ამხ. ჩოჩხათელს** (6-სე ლეგ.) თქვენი წერილი „საჭირო ყურადღების მიქცევა“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ მიმართეთ მნეს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**დაკარგე** ტრანსპორტნიკების კავშირიდან გაცემული საწევრო წიგნაკი გიორგი გრიგოლის-ძე ბერუჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.